ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 29 ივნისი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კონსტანტინე ქავთარაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში რუსთაველის გამზირის პირველი ჩიხის, მესხიშვილის მე-4 შესახვევის, პ. ინგოროყვას მე-2 შესახვევის და სოლომონ პირველის ქუჩის გაგრძელების გზის ბეტონის საფარით და ღვარსადენი სისტემის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში რუსთაველის გამზირის პირველი ჩიხის, მესხიშვილის მე-4 შესახვევის, პ. ინგოროყვას მე-2 შესახვევის და სოლომონ პირველის ქუჩის გაგრძელების გზის ბეტონის საფარით და ღვარსადენი სისტემის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ. კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში რუსთაველის გამზირის პირველი ჩიხის, მესხიშვილის მე-4 შესახვევის, პ. ინგოროყვას მე-2 შესახვევის და სოლომონ პირველის ქუჩის გაგრძელების გზის ბეტონის საფარით და ღვარსადენი სისტემის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 3 ივლისს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 3 ივლისის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო

პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე